ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1–1779

"7" აგვისტო 2017წ.

ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის მიმდებარედ/სოფელი ზურგოვანი, ასი ათასი მოწამის ქუჩა №28-ში არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.10.06.002.020), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 27 ივლისის №30 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღმის მიმდებარედ/სოფელი ზურგოვანი, ასი ათასი მოწამის ქუჩა №28-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.06.002.020), განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=3,9.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდილ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი". TBCBGE22. ანგარიში: GE96TB7002533030100275.) 7720.92 (შვიდი ათას შვიდასოცი ლარი და ოთხმოცდათორმეტი თეთრი) ლარი.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

OCSC21641040

20/05/2021

სსიპ ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურს

გაცნობებთ, რომ სს ,,საქართველოს ბანკი", როგორც იპოთეკარი, თანახმაა, რომ სს ,,საქართველოს ბანკი"-ს უფლების საგანზე ს/კ 01.10.06.002.020, მისამართი: ქალაქი თბილისი, დასახლება დიდი დიღომი, მიმდებარედ; ქალაქი თბილისი, სოფელი, ზურგოვანი, ქუჩა ასი ათასი მოწამე, N28; მესაკუთრე: შპს „კოდი" ს.ნ. 402050016, განხორციელდეს სამშენებლო სამუშაოები.

პატივისცემით,

მცირე და საშუალო ბიზნესის გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე - მცირე და საშუალო ბიზნესის ფილიალის დირექტორი

ირაკლი ვანიშვილი

15 Al. Kazbegi Avenue
ალ. ყაზბეგის გამზ. 15

ალაროს შემოსავლის ორდერი
CASH DEPOSIT ORDER

1858504943

GEL

თიბისი ბან
TBC BAN

თარიღი 25/12/2017 Date

შემომტანი
Depositor

თენგიზ მგელაძე,61006006120

ასლი

დებეტი Debit

1003

მიმღები ბანკი, კოდი

ს.ს. "თიბისი ბანკის" დიდუბის ფილიალი, TBCBGE 22

კრედიტი Credit

GE72 TB70 0253 3030 1003 19

მიმღები
Receiver

ქ.თბილისის მერია

Copy

თანხა ციფრებით
Amount in figures

7,722.00 GEL

თანხა სიტყვიერად,ვალუტა
Bank name, code
Amount in words,currency

შვიდი ათას შვიდას ოცდაორი ლარი 00 თეთრი

შემოტანის დანიშნულება
Description

კ2=3,9 გაზრდის საფასური, საკადასტრო კოდი: 01.10.06.002.020

მოლარე
Cashier

ბ.ა.

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს თიბისი ბანკის ფილიალებსა და ინტერნეტ-გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებული საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.